მთაწმინდის პარკთან

საქართველო, თბილისი, 0177, გ. კარტოზიას ქ.10
10 G. Kartozia str., 0177, Tbilisi, Georgia
+(995 32) 2 444 111 | info@m2.ge | www.m2.ge
შპს ,,მ2 მთაწმინდის პარკთან''
,,m2 at Mtatsminda Park'' LLC
ს/კ 405501504 I/D

27_P_MTP25 13 ნოემბერი, 2025 წელი

მინდობილობა

შპს „მ2 მთაწმინდის პარკთან“ (ს/ნ 405501504; იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ. N10, კომერციული ფართი N14) დირექტორმა, **გურამ ახვლედიანმა** (პირადი ნომერი: 01033000211), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი“, **შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“** (ს/ნ 405221843; იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა N86, ბინა 8) დირექტორს - **ხათუნა კიკვაძეს** (პ/ნ 01017008247) და ფიზიკურ პირ **ალექსანდრე თაბუკაშვილს** (01010009276), რომლებიც შემდეგში მოხსენიებულნი არიან როგორც „რწმუნებულები“, საზოგადოების სახელით, ერთად და ცალკ-ცალკე მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებულები“ უფლებამოსილნი არიან, იყვნენ „მარწმუნებლის“ წარმომადგენლები ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს/საჯარო დაწესებულების წინაშე, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე, ნებისმიერი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების წინაშე, იმ საკითხებზე, რაც ეხება ქალაქ თბილისში, ინოვაციების ქუჩა N20, N22, N24, N26, N28, N30-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.01.004.070) შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება-შეთანხმებას, რაც შეუზღუდავად გულისხმობს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შეთანხმებას და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების უფლებამოსილებას, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, კორექტირებას, აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების უფლებამოსილებას, მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, ნებართვის ვადის ცვლილებას, მოსაკრებლის/მომსახურების საფასურის გადახდას, მომზადებული პასუხების/გადაწყვეტილებების გაცნობის/ჩაბარების უფლებამოსილებას, მათ თაობაზე განმარტებების/განცხადებების წარდგენის უფლებამოსილებას.

წინამდებარე მინდობილობა შეუზღუდავად მოიცავს „რწმუნებულების“ ისეთ უფლებამოსილებებს, რომლებიც ამ მინდობილობაში პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა აუცილებელია წინამდებარე დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „მ2 მთაწმინდის პარკთან“

დირექტორი

გურამ ახვლედიანი

შპს მ2 მთაწმინდის პარკთან • 405501504 • m2 at Mtatsminda Park LLC